

ტელერადიორეპორტიორი 070351

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა:

ტელერადიოსაინფორმაციო პროგრამების რეპორტიორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტელევიზიის და რადიოს საინფორმაციო სამსახურის მუშაობაში. იგი ამზადებს სიუჟეტებს, რეპორტაჟებს და ინტერვიუებს ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებისთვის, ერთვება პირდაპირ ეთერში, მოიძიებს, გადაამოწმებს ინფორმაციას და ეთერში გასაშვებად ამზადებს აუდიო-ვიდეო და ტექსტურ ტელე-რადიო საინფორმაციო პროდუქციას.

II. დასაქმების სფერო:

- სამაუწყებლო ტელე-რადიოკომპანიები;
- საინფორმაციო სააგენტოები;
- ინტერნეტ მედიები;
- ტელე-რადიო პროდუქციის მწარმოებელი სტუდიები;
- დარგობრივი პრესსამსახურები.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ტელერადიორეპორტიორის პროფესიული კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიული განათლების მეოთხე საფეხურზე. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მინიმუმ 50% ეთმობა სასწავლო - საწარმოო პრაქტიკას.

V. ტელერადიორეპორტიორის კვალიფიკაციის აღწერი

ტელერადიორეპორტიორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის ჟურნალისტიკის ფუნდამენტური პრინციპები, ტელე-რადიო მედიის სპეციფიკა, აუდიო-ვიზუალური ინფორმაციის მოპოვების და გადამუშავების წესები, ტელე-რადიო ჟურნალისტიკის ჟანრები, საოპერატორო ხელოვნების და ვიდეო მონტაჟის ძირითადი ელემენტები; ელექტრონული მედიის მუშაობის პრინციპი.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>დამოუკიდებლად მოიპოვებს ინფორმაციას, ამზადებს რეპორტაჟს მოვლენის ადგილიდან; ერთვება პირდაპირ ეთერში; ჩაწერს, გაშიფრავს და გამოიყენებს ინტერვიუს; ამზადებს საეთერო სიუჟეტს (საჭიროების შემთხვევაში თვითონ ამონტაჟებს), გაახმოვანებს ნამუშევარს, მოგვითხრობს რადიოსა და ტელევიზიის პირდაპირ ეთერში.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ინფორმაციის აქტუალობის და პრიორეტულობის მიხედვით მოვლენის ადგილზე მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება; განსაზღვროს საკუთარი და რესპოდენტის ჩართვის ადგილი, დრო და ქრონომეტრაჟი, შესთავაზოს რედაქციას, რა ფორმით გადაიცეს “ნიუსი” (პირდაპირი ჩართვა, დამონტაჟებული სიუჟეტი, მოკლე “ნიუსი”+ინტერვიუ).</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>დამოუკიდებლად ამყარებს კონტაქტს პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვან საჯარო პირებთან და სხვა რესპოდენტებთან (მათ შორის რომელიმე უცხო ენაზე), ამ საქმეში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს; მოძიებს საჯარო ინფორმაციას ოფიციალური (წერილობით გამოთხოვა) და კანონით ნებადართული სხვა წყაროებიდან. პროფესიულ საქმიანობაში იყენებს კონტაქტების ბაზას. შეუძლია არაოფიციალური წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება და გამოყენება კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვით.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>აქვს ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების და აუცილებელი ლიტერატურის მოძიების და აუდიო-ვიზუალურ არქივებთან მუშაობის უნარი. დამოუკიდებლად შეუძლია შეაფასოს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის დონე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პროფესიული განათლების ასამაღლებლად.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>იცავს ინფორმაციის დაზუსტებული, დაბალანსებული, თავისუფალი გადაცემის, წყაროს კონფიდენციალობის დაცვის წესებს კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვების პირობებში.</p>